პერსონალურ მონაცემთა დაცვის
ინსპექტორის აპარატი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა საქართველოში

2014 წლის ანგარიში



personaldata.ge

სარჩევი

შესავალი 3

2014 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები 4

მონაცემთა დამუშავების პრინციპები და კანონიერი საფუძვლები 7

სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება 17

ვიდეოთვალთვალი 21

სხვა სახელმწიფოსათვის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის პერსონალურ მონაცემთა გადაცემა 26

პირდაპირი მარკეტინგი 29

მოქალაქეთა და მონაცემთა დამმუშავებლების ინფორმირებულობა 31

2014 წელი ციფრებში 33

შესავალი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2014 წლის ანგარიში მოიცავს მოქალაქეთა განცხადებების განხილვის, ჩატარებული ინსპექტირებებისა და გაწეული კონსულტაციის შედეგებს 2014 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით. დოკუმენტის მიზანია გასულ წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის, არსებული ტენდენციებისა და გამოწვევების ანალიზი.

ანგარიში მიმოიხილავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებულ თემებს, რომლებიც გასულ წელს ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის საგნად იქცა, აგრეთვე, პერსონალურ მონაცემთა მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის კონკრეტულ შემთხვევებსა და მათზე რეაგირების შედეგებს, მონაცემთა დაცვის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ინსპექტორის აპარატის საქმიანობას.

დოკუმენტში განზოგადებული სახითაა წარმოდგენილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით არსებული სისტემური ხასიათის პრობლემები და მათი მიმოხილვისას კონკრეტული ორგანიზაციების იდენტიფიცირება მინიმალურია. ამავე დროს, განმცხადებელთა (მონაცემთა სუბიექტების) მონაცემები სრულად დეპერსონალიზებულია, შესაბამისად, მათი ვინაობის დადგენა შეუძლებელია.

ანგარიში მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: მონაცემთა დამუშავების პრინციპები და კანონიერი საფუძვლები, მონაცემთა დამუშავება ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება, ვიდეოთვალთვალი, სხვა სახელმწიფოსათვის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის პერსონალურ მონაცემთა გადაცემა, პირდაპირი მარკეტინგი, მოქალაქეთა და მონაცემთა დამმუშავებლების ინფორმირებულობა.

2014 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

2014 წელი გადამწყვეტი იყო როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვის მხრივ, აგრეთვე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისთვისაც, ვინაიდან, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა კანონმდებლობის დახვეწაზე, ორგანიზაციის სტრუქტურულ და ფუნქციურ გაძლიერებაზე, მოქალაქეთა ცნობიერების გაზრდასა და მონაცემთა დამმუშავებლების პასუხისმგებლობის ამაღლებაზე. ინსპექტორის აპარატი აქტიურად მონაწილეობდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების დასამკვიდრებლად განხორციელებულ ყველა მნიშვნელოვან ინიციატივაში.

2014 წელს ამ სფეროში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებები და ძირითადი მიღწევები არა მხოლოდ ინსპექტორის აპარატის მუშაობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ ზრდას უკავშირდება, არამედ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისადმი საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებას, საჯარო და კერძო ორგანიზაციების მიერ მონაცემთა დაცვის სტანდარტების დანერგვის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს.

აღსანიშნავია, 2014 წელს განვითარებული შემდეგი მოვლენები:

- საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბდა და ტექნიკურად დანერგვის პროცესშია სამართალდამცავი ორგანოების მიერ ფარული მიყურადებისა და სხვა, ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა კანონიერების კონტროლის სისტემა;

- 2014 წლის 1 ნოემბრიდან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის ყველა დებულება, მათ შორის, ინსპექტორის საზედამხედველო უფლებამოსილება, სრულად ვრცელდება კერძო ორგანიზაციების საქმიანობაზე (ნაცვლად 2016 წლის იანვრისა, როგორც ეს კანონის წინა რედაქციით იყო გათვალისწინებული);
- შეიქმნა ინსპექტორის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის უფრო მყარი გარანტიები, გაიზარდა პარლამენტის წინაშე ინსპექტორის ანგარიშვალდებულების ხარისხი და შეიცვალა მისი არჩევის წესი;
- დაიხვეწა პირდაპირი მარკეტინგის საკანონმდებლო რეგულაცია და კანონით დადგინდა მონაცემთა ყველა დამმუშავებლის ვალდებულება, შექმნას და მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომი გახადოს სარეკლამო შეტყობინებებზე უარის თქმის ადეკვატური საშუალება. 2014 წლის 1 ნოემბრიდან, მოქალაქეები აქტიურად იყენებენ შეტყობინებებზე უარის თქმის ახალ ფუნქციას, ხოლო პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების დროს გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირებას ახდენს ინსპექტორის აპარატი;
- ინსპექტორის აპარატისა და მონაცემთა დამმუშავებლების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად დაიხვეწა და კანონთან შესაბამისობაში მოვიდა მონაცემთა დამუშავების პროცესი. ამის ყველაზე ნათელი მაგალითებია - საჯარო ორგანიზაციებში ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება, საზღვრის კვეთის დროს ფოტოგადაღების პრაქტიკის ცვლილება, გარკვეულ მონაცემთა ბაზებთან წვდომის შეზღუდვა, საბანკო-საფინანსო სექტორში მონაცემთა დამუშავებაზე მოქალაქეთა თანხმობის ფორმის დახვეწა;
- მნიშვნელოვნად გაიზარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების ხარისხი და დარღვევების მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების გამოყენება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ინსპექტორის აპარატი იყენებს ჯარიმას, ასევე, გასცემს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის ან შესრულებისათვის სავალდებულო სხვა მითითებებსა და რეკომენდაციებს;
- გაიზარდა ინსპექტორის აპარატის ცნობადობა და როგორც მოქალაქეთა, ასევე, საჯარო და კერძო ორგანიზაციათა მომართვების რაოდენობა, რაც მეტყველებს მონაცემთა დამმუშავებლებისა და მოქალაქეთა ინფორმირებულობის ამაღლებაზე;

- ინსპექტორის აპარატი აქტიურად არის ჩართული ევროპის კავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის, ასევე, ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. ევროკავშირის შემფასებელმა მისიამ მოიწონა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით საქართველოში გადადგმული ნაბიჯები და შედეგად, საქართველომ წარმატებით დაასრულა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების პირველი ფაზა.
- გამყარდა ორმხრივი თანამშრომლობა ინსპექტორის აპარატსა და ევროპული ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს შორის. ინსპექტორის აპარატი გახდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა თანამშრომლობის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა ევროპული კონფერენციის წევრი, საქართველოს სახელით წარმოდგენილია ევროპის საბჭოს საკონსულტაციო კომიტეტსა და ბიუროში, აქტიურად მონაწილეობდა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ N108 კონვენციის განახლების სამუშაო ჯგუფში.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ქმედითი მექანიზმებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ევროპული სტანდარტების დამკვიდრებისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია, ხელისუფლების ყველა შტოს, ინსპექტორის აპარატის, საჯარო და კერძო ორგანიზაციების ძალისხმევა და დემოკრატიულ რეფორმებში საზოგადოების ჩართულობა.

მონაცემთა დამუშავების პრინციპები და კანონიერი საფუძვლები

პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალ სტანდარტს მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვა, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნითა და სამართლებრივი საფუძვლით მონაცემთა დამუშავება განაპირობებს. 2014 წელს გაწეული კონსულტაციების, შეხვედრების თუ ინპექტირებების დროს გამოიკვეთა, რომ საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების მხრიდან კვლავაც აქვს ადგილი პერსონალური მონაცემების, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების კანონიერი საფუძვლის გარეშე დამუშავებას. ხშირად მონაცემთა დამმუშავებლები ვერ ახდენენ შესაბამისი საფუძვლის იდენტიფიცირებას ან განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევენ კანონის ნორმებს. კვლავაც პრობლემას წარმოადგენს მონაცემთა დაცვის კანონით გათვალისწინებული პრინციპების დარღვევა, რაც გამოხატება მიზნის არაპროპორციულად, არაადეკვატურად, დიდი მოცულობითა და განუსაზღვრელი ვადით მონაცემთა შეგროვებასა და შენახვაში.

დადებითად უნდა შეფასდეს 2014 წლის განმავლობაში რამდენიმე სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და სააქციო საზოგადოების მხრიდან მონაცემთა დაცვის პრინციპებისა და საფუძვლების უზრუნველყოფისთვის გატარებული ღონისძიებები, რაც გამოიხატებოდა არა მხოლოდ შიდა პოლიტიკის დოკუმენტების დამტკიცებაში, არამედ მონაცემთა შენახვის ვადების განსაზღვრასა და მონაცემებზე წვდომის შეზღუდვაში.

მონაცემთა უკანონოდ გამჟღავნებასა და გავრცელებას მოქალაქეთათვის მნიშვნელოვანი მატერიალური და მორალური ზიანის მიყენება შეუძლია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით ვრცელდება და მისი შემდგომი მართვა და შეზღუდვა საკმაოდ რთულია. 2014 წელს ინსპექტორის აპარატში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების უმრავლესობა სწორედ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მათი პერსონალური მონაცემების გავრცელებას ეხებოდა, რის შედეგადაც, სამ საჯარო უწყებას დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით.

ინსპექტორის აპარატში შემოსული ერთ-ერთი განცხადება საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული სისხლის სამართლებ რივი დევნის მასალებს ეხებოდა, რომელთა შორისაც იყო ბრალდებულის ოჯახის წევრის სამედიცინო დიაგნოზი.

ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე გავრცელებას, რისთვისაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მთავარ პროკურატურას ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. ინსპექტორის გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა და საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი დაადასტურა. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა საჩივრის ავტორის განმარტება, რომ გამოძიების მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავება-გავრცელებაზე არ ვრცელდებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოქმედება. მოცემულ შემთხვევაში, მთავარი პროკურატურა გასცდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და დანაშაულის გამოძიების სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მიზნებს, შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირების მიზნით დიაგნოზის გასაჯაროების დროს მასზე ვრცელდებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოქმედება.

კვლავაც პრობლემას წარმოადგენს მონაცემთა დაცვის კანონით გათვალისწინებული პრინციპების დარღვევა, რაც გამოიხატება მიზნის არაპროპორციულად, არაადეკვატურად, დიდი მოცულობითა და განუსაზღვრელი ვადით მონაცემთა შეგროვებასა და შენახვაში.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა კანონიერი საფუძვლის გარეშე გამჟღავნებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, რომელმაც ერთ-ერთი მსჯავრდე-

ბულის გარდაცვალების შემდგომ, საზოგადოების ინფორმირების მიზნით და გარდაცვალების ფაქტის მიმართ გაჩენილი ეჭვების გასაქარწყლებლად, ვებგვერდზე გამოაქვეყნა მსჯავრდებულის სახელი, გვარი, მსჯავრდებულის მიერ გარდაცვალებამდე ჩატარებული მკურნალობის, მისი სამედიცინო დიაგნოზისა და გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმაცია. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ მონაცემთა სუბიექტის (ან კანონით გათვალისწინებული მემკვიდრეების) წერილობითი თანხმობის გარეშე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის ვებგვერდზე ხელმისაწვდომობა არღვევდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6.3 მუხლს, რომლის თანახმადაც, მონაცემთა დამუშავების საფუძვლის არსებობის მიუხედავად, დაუშვებელია სუბიექტის თანხმობის გარეშე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა გასაჯაროება. კანონის შესაბამისად სამინისტროს დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

მონაცემთა უკანონოდ გამჟღავნებასა და გავრცელებას მოქალაქეთათვის მნიშვნელოვანი მატერიალური და მორალური ზიანის მიყენება შეუძლია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით ვრცელდება და მისი შემდგომი მართვა და შეზღუდვა საკმაოდ რთულია.

2014 წელს მოქალაქის განცხადების საფუძველზე ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა საპატრულო პოლიციის მიერ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე მესამე პირისთვის მოქალაქის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების ფაქტი. მოქალაქის ვინაობა და ტელეფონის ნომერი, რომელმაც სამართალდარღვევის შესახებ „112-ის“ ცხელ ხაზზე შეტყობინება დატოვა, ცნობილი გახდა სამართალდამრღვევისთვის საპატრულო ეკიპაჟის მიერ შედგენილი შიდაუწყებრივი ოქმიდან. კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე და გაუფრთხილებლობით მოქალაქის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების გამო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა ად-

მინისტრაციული პასუხისმგებლობა - ჯარიმა 500 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატს არაერთმა მოქალაქემ მიმართა კითხვით, რამდენად კანონიერია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდებზე მოქალაქეთა პირად მონაცემებზე წვდომა. მოქალაქეებს განსაკუთრებულ დისკომფორტს უქმნიდა მათი პირადი ნომრისა და მისამართის საჯარო რეესტრის ბიზნესისა და ქონების რეესტრებში ხელმისაწვდომობა, ასევე ფოტოსურათისა და მათთან ერთად მისამართზე რეგისტრირებული პირების შესახებ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა.

ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ პერსონალურ მონაცემთა ვებგვერდზე გასაჯაროების კანონიერება. დადგინდა, რომ ცესკოს ვებგვერდის მეშვეობით პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციაზე (მათ შორის, ფოტოსურათზე) წვდომა შესაძლებელია ერთდროულად ორი მონაცემის (პირადი ნომერი და გვარი) სწორად მითითების შემთხვევაში, ხოლო ამ მისამართზე რეგისტრირებულ სხვა პირთა ფოტოსურათები ხელმისაწვდომი არ არის.

რაც შეეხება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, მას „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი ავალდებულებს ბიზნესისა და ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული მონაცემები და დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი პირისათვის.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონაცემთა დამუშავება, მათ შორის, გასაჯაროება, დასაშვებია, თუ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით, ასევე, თუ მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. შესაბამისად, მონაცემთა ზემოაღნიშნულ ვებგვერდებზე ხელმისაწვდომობას აქვს კანონით გათვალისწინებული საფუძველი და მიზანი, კერძოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემთხვევაში ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საარჩევნო კოდექსით და ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე მონაცემთა ამ მოცულობით განთავსება ემსახურება

ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისა და შესაძლო უზუსტობების აღმოფხვრის მიზანს. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მონაცემთა გასაჯაროება კი გათვალისწინებულია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით და ემსახურება სააგენტოსთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზანს.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ მოქალაქეებს პრობლემას უქმნის დამსაქმებლების მხრიდან მათ შესახებ დიდი მოცულობის არარელევანტური მონაცემების შეგროვება. კონკრეტული დამსაქმებლებისთვის გაწეული კონსულტაციის გარდა, ინსპექტორის აპარატმა მოამზადა და გაავრცელა 13 გვერდიანი დოკუმენტი შრომით ურთიერთობებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა დასაქმებულთა უფლებების დაცვას, დამსაქმებლების ცნობიერების ამაღლებასა და კანონის არაჯეროვანი ან/და არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის პრევენციას. ინსპექტორის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები საქართველოს კანონმდებლობის გარდა, ეფუძნებოდა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისა (89)2 და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას.

პერსონალური ინფორმაციის წაშლა ინტერნეტის საძიებო რესურსიდან

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატს განცხადებით მიმართა მოქალაქემ, რომელიც მიუთითებდა, რომ 2007 წელს მისი დაკავების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მედიასაშუალების ვებგვერდსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში არღვევდა მის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას და უარყოფით გავლენას ახდენდა მის საქმიან რეპუტაციაზე.

მოცემული საქმის ფარგლებში ინსპექტორმა იმსჯელა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ განმცხადებლის მონაცემთა დამუშავების კანონიერებასა და პროპორციულობაზე. დადგინდა, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკას ჰქონდა მონაცემთა დამუშავების კანონით გათვალისწინებული საფუძველი. პროპორციულობის შეფასებისას მხედველობაში მიღებულ იქნა მონაცემის ხელმისაწვდომობის გავლენა მოქალაქის პირად ცხოვრებაზე, მიყენებული ან შესაძლო ზიანი, მისი უფლების და მონაცემთა დამმუშავებლის ლეგიტიმური ინტერესების თანაფარდობა, მოძველებული ინფორმაციისადმი საზოგადოების ინტერესი. იმის გათვალისწინებით, რომ ბიბლიოთეკის მიერ კატალოგის წარმოება შესაძლებელი იყო ძებნის პარამეტრებში კონკრეტული პირის სახელისა და გვარის მითითების გარეშე, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას დაევალა სახელისა და გვარის პარამეტრით საძიებო სისტემებში განმცხადებლის 2007 წლის დანაშაულთან კავშირის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.

რადგან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება (გარდა მე-17 მუხლისა) არ ვრცელდება მედიასაშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოკლებული იყო კანონიერ შესაძლებლობას მედიასაშუალებისთვის დაევალებინა რაიმე ქმედების განხორციელება. მიუხედავად ამისა, ინსპექტორის წერილის საფუძველზე მედიაჰოლდინგმა გაითვალისწინა მოქალაქის ინტერესი და მისთვის სენსიტიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეზღუდა.

თანხმობა, როგორც მონაცემთა დამუშავების საფუძველი

პრაქტიკაში პერსონალური მონაცემების დამუშავების ყველაზე გავრცელებულ საფუძველს სუბიექტის თანხმობა წარმოადგენს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ საფუძვლად მონაცემთა სუბიექტის თანხმობას განსაზღვრავს და ადგენს, რომ თანხმობის გამოხატვა შესაძლებელია სათანადო ინფორმაციის მიღების შემდეგ, მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავების შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით, ასევე, სატელეკომუნიკაციო ან სხვა, შესაბამისი საშუალებით.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ, სამწუხაროდ, ხელშეკრულებასა თუ სხვა სახის დოკუმენტზე ხელმოწერით თანხმობის გამოხატვა ფორმალურ ხასიათს ატარებს. ხშირად მოქალაქე იძულებულია, ხელი მოაწეროს თანხმობის ამსახველ დოკუმენტს ყოველგვარი ინფორმაციისა და განმარტების გარეშე; მისთვის უცნობია, რა სახის მონაცემების რა მიზნით გამოყენება ხდება, შესაძლებელია თუ არა უარი და რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება დადგეს.

2014 წელს ინსპექტორის აპარატმა მოქალაქის თანხმობის ფორმის თაობაზე არაერთ ორგანიზაციას გაუწია კონსულტაცია. ამასთანავე, ამ საკითხის მიმართ მოქალაქეთა დაინტერესებაც გაიზარდა. ინსპექტორის აპარატს რამდენიმე მოქალაქემ მიმართა კითხვით, არის თუ არა შესაძლებელი წერილობითი თანხმობაზე უარის თქმა და მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნა. ამას გარდა, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინსპექტირების ფარგლებში შერჩევითი პრინციპის საფუძველზე შესწავლილ იქნა 20 კომერციული ბანკისა და 6 სხვა ორგანიზაციის მიერ სუბიექტის თანხმობით განხორციელებული 3 851 მონაცემის დამუშავების ფაქტი. გამოვლინდა ისეთი შემთხვევები, როდესაც წერილობითი თანხმობით ორგანიზაციას ენიჭებოდა არაპროპორციულად დიდი მოცულობის მონაცემის დამუშავების უფლებამოსილება. ინსპექტირების შედეგად, თანხმობის ტექსტი გახდა მკაფიო, ინფორმაციული და დაკონკრეტდა მონაცემთა დამუშავების მიზანი.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით

2014 წელს გახშირდა მოქალაქეთა პირადი მონაცემების შემცველი ელექტრონული ბაზების გაყიდვის ფაქტები. მაგალითად, ერთ-ერთი შეთავაზების თანახმად, 1 400 000 კერძო პირის სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, ტელეფონის ნომრისა და მისამართის ღირებულება 100 ლარს შეადგენდა, ხოლო 120 000 კერძო პირის ელ. ფოსტის მისამართის ფასი 70 ლარი იყო.

ინსპექტორის აპარატი ბაზების მფლობელთა იდენტიფიცირებას და მათ მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლას მთელი წლის განმავლობაში ახდენდა. ხშირად ამგვარი ბაზების ჩამოყალიბების წყაროს წინა წლებში უკანონოდ გასაჯაროებული მონაცემები წარმოადგენდა. ინსპექტორის აპარატის ჩარევის შედეგად 7-მა ორგანიზაციამ შეწყვიტა მონაცემთა დამუშავება. გარდა ამისა, ინსპექტორმა საჯარო განცხადებით მოუწოდა ბაზების ყველა პოტენციურ მყიდველს, გადაემოწმებინა მონაცემთა მოპოვება/შეგროვების კანონიერება და უზრუნველეყო მოქალაქეთა უფლებების დაცვა და უსაფრთხოება.

მონაცემთა ავტომატური დამუშავების პროცესში კვლავაც ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ორგანიზაციებს შორის მონაცემთა გაცვლისა და მონაცემთა ბაზებზე წვდომის არაპროპორციულობა და სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა. სწორედ ამიტომ, 2014 წლის განმავლობაში, ინსპექტორმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო საჯარო სექტორის ყველაზე მსხვილი მონაცემთა დამმუშავებლების შემოწმება.

ინსპექტორის აპარატი კონსულტაციებისა და სამართლებრივი ექსპერტიზის ფორმატში მჭიდროდ თანამშრომლობდა საჯარო სექტორის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ მონაცემთა დამმუშავებელთან - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან.

კონსულტაციები ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

ა) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდება ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისათვის მოსახლეობის ბიომეტრიული რეგისტრაციის მიზნით;

პრაქტიკამ აჩვენა, რომ მოქალაქეებს პრობლემას უქმნით დამსაქმებლების მხრიდან მათ შესახებ დიდი მოცულობის არარელევანტური მონაცემების შეგროვება.

ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირთა მონაცემებთან სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წვდომა პირადობის ელექტრონული მოწმობების გაცემისას შეღავათების გავრცელების მიზნით;

გ) სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წვდომა სახელმწიფო გასაცემლების (სახელმწიფო პენსია, სოციალური პაკეტი, სახელმწიფო კომპენსაცია) მიმღებთა ბაზასთან შეღავათების გავრცელების მიზნით.

არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით, ინსპექტორის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ ინფორმაციის (ეტლით მოსარგებლე, სმენადაქვეითებული, უსინათლო) ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის მიწოდება დეპერსონალიზებული ფორმით, ხოლო კანონით დადგენილი პრინციპების შეუსაბამოდ შეფასდა სოციალურად დაუცველი ოჯახების შესახებ ინფორმაციის გადაცემა კომუნიკაციის განმახორციელებელი ერთ-ერთი კომპანიისათვის და შესაბამისად, მონაცემთა გადაცემა არ განხორციელდა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან ერთად მონაწილეობდა შპს საქართველოს ფოსტისა და ლ.სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზასთან წვდომის საკითხის განხილვაში. შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შესწავლის შედეგად, არ გამოიკვეთა კანონიერი მიზანი, რომლისთვისაც აუცილებელი იქნებოდა აღნიშნული ფორმით მონაცემებზე წვდომა. საქართველოს მთავრობამ გადაწყვეტილების მიღების დროს გაიზიარა ინსპექტორის მოსაზრებები.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შემოწმება

2014 წელს შესწავლილ იქნა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზებზე სხვა ორგანიზაციების წვდომის საკითხი.

შემოწმების ფარგლებში მიღებული ინფორმაციის თანახმად, პირადობის მოწმობის ელექტრონული პროგრამიდან ინფორმაცია მიეწოდებოდა 73 სხვადასხვა საჯარო დაწესებულებასა და კერძო ორგანიზაციას, ასევე, ინდივიდუალური მიმართვის საფუძველზე - ფიზიკურ პირებს და ცალკეულ სუბიექტებს სააგენტოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად.

შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ რამდენიმე ორგანიზაციისთვის მონაცემთა გადაცემა ხდებოდა სამართლებრივი საფუძვლის იდენტიფიცირების გარეშე (ხშირ შემთხვევებში სააგენტოსა და სხვა ორგანიზაციებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში/მემორანდუმში არ იყო მითითება და სააგენტოც არ ფლობდა დაზუსტებულ ინფორმაციას, თუ კანონმდებლობით დაკისრებული რომელი მოვალეობის შესასრულებლად იყო აუცილებელი სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან ინფორმაციის მიღება), დასაბუთებული არ იყო მონაცემთა მიღების საჭიროება.

ინსპექტორის გადაწყვეტილებით, სააგენტოს დაევალა დარღვევებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად კონკრეტული ღონისძიებების გატარება, რის შედეგადაც, დაზუსტდა მონაცემების მიწოდების სამართლებრივი საფუძვლები და მიზნები, განხორციელდა ცვლილებები ცალკეულ ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებებში, სააგენტოს მონაცემთა ბაზასთან წვდომა შეუწყდათ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიას, რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის მინისტრის აპარატს.

სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

2014 წელს ფარული მიყურადების თემა განსაკუთრებული საჯარო ინტერესისა და დისკუსიის საგანი იყო. საგამოძიებო და ოპერატიული ორგანოების უფლებამოსილება, განახორციელონ ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების, დანაშაულის პრევენციისა თუ სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტია, თუმცა ეს უფლებამოსილება უნდა იყოს მკაცრად რეგლამენტირებული და შეზღუდული, ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა უნდა იყო კანონიერი მიზნის პროპორციული.

ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა უნდა ქმნიდნენ ჯეროვან გარანტიებს ხელისუფლების ორგანოების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად ან თვითნებურად გამოყენების წინააღმდეგ. "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–8 მუხლი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას ითვალისწინებს. კომუნიკაციის არხის მოსმენა აუცილებლად არ ნიშნავს ამ უფლების ხელყოფას; ამასთან, ამგვარი ქმედება უნდა განხორციელდეს როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ისე პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად[1].

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში სამართალდამცავ ორგანოთა მიერ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის შესახებ დისკუსია ერთგვარად ეხმიანებოდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, რომელთა კატალიზატორი სხვადასხვა ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურების მიერ, საკუთარი და სხვა ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ მასშტაბური მიყურადების ფაქტების გამოვლენა იყო. ევროპის ქვეყნებში მიმდინარე პროცესები მხოლოდ ერთ–ერთი მაგალითია იმისა, რომ მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელყოფა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, თუნდაც დანაშაულის გამოძიებისა ან სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნით, დღესაც მსჯელობისა და რეფორმის საგანს წარმოადგენს.

---

[1] *„სამართალდამცავი და ეროვნული უშიშროების ორგანოთა პერსონალურ მონაცემებზე წვდომის ძირითადი საკითხების შესახებ" ევროპის საბჭოს ექსპერტების ჯოზეფ კანატაჩისა და გრემ სატონის ანგარიშში, 2014 წლის სექტემბერი.*

2014 წლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ 2014 წლის 8 აპრილს მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენდა, რომელითაც სასამართლომ გააუქმა ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს დირექტივა 2006/24/EC „საჯაროდ განხორციელებული ელექტრონული მომსახურების ან საჯარო საკომუნიკაციო ქსელების მუშაობასთან დაკავშირებით შექმნილი ან დამუშავებული მონაცემების შენახვის შესახებ“ (მონაცემთა შენახვის დირექტივა). ამ გადაწყვეტილების შედეგად მრავალმა ევროპულმა ქვეყანამ დაიწყო არა მხოლოდ შიდა კანონმდებლობის გადახედვა, არამედ საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპებისა და პრაქტიკის მორგება ახალ რეალობასთან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, საქართველოს პარლამენტთან, საქართველოს მთავრობასთან და სამოქალაქო სექტორთან ერთად აქტიურად იყო ჩართული და დღესაც აგრძელებს მუშაობას სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფრო მაღალი სტანდარტების დანერგვაზე. ამის ნათელი მაგალითია 2014 წლის აგვისტოსა და ნოემბერში რიგ საკანონმდებლო აქტებში, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონებში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და სხვა ნორმატულ აქტებში განხორციელებული ცვლილები და მასთან დაკავშირებული განხილვები.

ინსპექტორის საქმიანობისა და მისი მანდატისათვის ყველაზე საგულისხმოა 2014 წელს განხორციელებული შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები:

- შეიქმნა ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონცეფცია, რომელიც, ოპერატიულ–სამძებრო საქმიანობის ნაცვლად, დაექვემდებარა სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელ უფრო მაღალ გარანტიებს და მისი განხორციელება სახელმწიფო საიდუმლოებად კვალიფიცირდა;
- ჩამოყალიბდა ინსპექტორის მიერ ფარული მიყურადების დროს მონაცემთა დამუშავების წინასწარი კონტროლი, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური

დეპარტამენტის მიერ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებამდე, ინსპექტორი ამოწმებს სასამართლოს ბრძანების/პროკურორის დადგენილების არსებობასა და მასში მითითებული მონაცემების შესაბამისობას ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის მიერ ინიცირებულ მოთხოვნასთან. შემდეგ, მართლზომიერი გადაჭერის სისტემას მხოლოდ მონაცემების სრულად დამთხვევისას ეძლევა მოთხოვნილი არხის გახსნის და მოსმენის განხორციელების ნებართვა. ამასთან, კონკრეტულ სატელეფონო ნომერზე წვდომა ხდება იმ ვადითა და მოცულობით, რაც გათვალისწინებულია სასამართლოს ბრძანებით ან პროკურორის დადგენილებით. შესაბამისად, მონაცემთა ცდომილებისას მოსმენა არ შედგება, ხოლო ვადის ამოწურვის შემთხვევაში - შეწყდება. (ამოქმედდება 2015 წლის 31 მარტიდან);

- განისაზღვრა ინსპექტორის მიერ მონაცემთა დამუშავების შემდგომი კონტროლის მექანიზმი, როგორიცაა, მონაცემთა ბანკების კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემა (უკვე შეგროვებულ მონაცემთა გამოყენების კონტროლი), ზედამხედველობა შეგროვებულ პერსონალურ მონაცემთა განადგურების პროცესზე, მიყურადებისა თუ სხვა საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების უფლებამოსილება.

მიუხედავად იმისა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების კონტროლის სისტემა არ ქმნის უკანონო მოსმენების სრულად აღმოფხვრის აბსოლუტურ გარანტიას, (დანაშაულებრივი გზით საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე პირდაპირი თუ არაპირდაპირი წვდომის შესაძლებლობის გამორიცხვა შეუძლებელია), ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების გარე კონტროლი მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია, ხოლო მისი წარმატებული მუშაობა ხელს შეუწყობს ამ სფეროში შემდგომი, უფრო მაღალი სტანდარტების დანერგვას. ლოგიკურია მოლოდინი, რომ საქართველოშიც, ევროპასთან პოლიტიკური და სამართლებრივი დაახლოების პროცესის ფარგლებში, შესაბამისი განხილვები და ეფექტური გადაწყვეტების ძიება გაგრძელდება.

ინსპექტორის აპარატი სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხებს მხოლოდ ფარული საგამოძიებო საქმიანობის ჭრილში არ განიხილავს. სამართალდამცავი ორგანოები, კანონით დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელების პროცესშიც ამუშავებენ დიდი მოცულობის პერსონალურ მონაცემებს. თუ 2013 წელს ძირითად ამოცანას დანაშაულის გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების დროს პერსონალურ მონაცემთა მოპოვებისა და დამუშავების სწორი საფუძვლებისა და პროცედურების ჩამოყალიბება წარმოადგენდა, 2014 წელს მთავარი გამოწვევა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროპორციულობა და მიზნის ადეკვატურობა იყო. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი ადგენს, რომ“ მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი.“

2014 წელს მთავარი გამოწვევა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროპორციულობა და მიზნის ადეკვატურობა იყო.

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა, მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე, ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე დანაყოფის ინსპექტირება (შემოწმება), რაც მოიცავდა შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავების, მოქალაქის შესახებ შსს-ს მონაცემთა ბაზებში დაცული ინფორმაციის კანონიერების შემოწმებას და სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე შეგროვებული ინფორმაციის სხვა უწყებებისთვის ხელმისაწვდომობას. ინსპექტირების შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა ხარვეზების გამოსწორება და მიმდინარეობს მონიტორინგი გადაწყვეტილების შესრულებაზე.

ვიდეოთვალთვალი

ბოლო პერიოდში სულ უფრო გახშირდა ვიდეოთვალთვალის სისტემების გამოყენება და მოქალაქეები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან ამ ჩანაწერების განხორციელების კანონიერებისა და ხელმისაწვდომობის საკითხებით.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენება სცილდებოდა კანონით გათვალისწინებულ მიზნებს, როგორიცაა უსაფრთხოების, საკუთრებისა და საიდუმლო ინფორმაციის, ასევე, არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვა. ვიდეოთვალთვალის შედეგად მოპოვებული ჩანაწერები არ ინახებოდა მიზნის ადეკვატური და პროპორციული ვადით, არ იყო დადგენილი ვიდეოთვალთვალის შედეგად მოპოვებულ ჩანაწერებთან წვდომის წესი და უსაფრთხოების ზომები.

ხშირად, საჯარო და კერძო ორგანიზაციები შენობების გარე პერიმეტრისა და შესასვლელის მონიტორინგის გარდა, ვიდეოთვალთვალის სისტემებს დაუსაბუთებლად იყენებენ სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა კონტროლისათვის.

ხშირად, საჯარო და კერძო ორგანიზაციები შენობების გარე პერიმეტრისა და შესასვლელის მონიტორინგის გარდა, ვიდეოთვალთვალის სისტემებს დაუსაბუთებლად იყენებენ სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა კონტროლისათვის, მაშინ, როდესაც კანონის თანახმად, სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ კანონიერი მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია. ამასთან, დასაქმებულთა უმრავლესობა წერილობითი ფორმით არ არის ინფორმირებული კონტროლის განხორციელებისა და მათი უფლებების შესახებ.

ინსპექტორთან კონსულტაციის შედეგად, ცალკეულმა ორგანიზაციებმა შეწყვიტეს ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით მოპოვებული მონაცემების - თანამშრომელთა შენობაში შესვლა-გასვლის აღრიცხვისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით გამოყენება და წერილობით გააფრთხილეს თანამშრომლები მიმდინარე ვიდეოკონტროლის შესახებ.

ინსპექტორის აპარატს ერთ-ერთმა პროფესიულმა კავშირმა აცნობა ორგანიზაციაში დასაქმებულთა კონტროლის მიზნით დაგეგმილი ფოტოგრაფირების და აუდიო-ვიდეო ჩაწერის შესახებ. აპარატმა მიმართა ორგანიზაციას და მოითხოვა შესაბამისი დასაბუთების წარმოდგენა, რის შედეგადაც, ორგანიზაციამ შეაჩერა დაგეგმილი ღონისძიებები და ამ საკითხზე მიმდინარეობს შემდგომი კონსულტაციები.

ინსპექტორის აპარატისთვის ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე სააფთიაქო ქსელი, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ვიდეოკონტროლის გარდა ახორციელებს მომხმარებელსა და მომსახურე პერსონალს შორის კომუნიკაციის აუდიოჩაწერას. გამომდინარე იქიდან, რომ მომხმარებელსა და პერსონალს შორის კომუნიკაციის დროს ადგილი აქვს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, ასეთი კომუნიკაციის აუდიოჩაწერა ქმნის მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში არაპროპორციული და არაადეკვატური ჩარევის საფრთხეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მომხმარებლები არ არიან ინფორმირებულნი აუდიოჩაწერის მიმდინარეობის შესახებ. ინსპექტორმა გამოითხოვა ინფორმაცია სააფთიაქო ქსელებიდან და მიმდინარეობს საკითხის დეტალური შესწავლა.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სამართალდამცავი ორგანოები კერძო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ვიდეოთვალთვალის ჩანაწერების გამოთხოვისას მოთხოვნას არ ასაბუთებდნენ, აგრეთვე, არ წარადგენდნენ შესაბამის კანონიერ საფუძველს (გამომძიებლის/პროკურორის დადგენილებას ან სასამართლოს განჩინებას), რაზეც კონკრეტულ ორგანიზაციებს გაეწიათ კონსულტაცია.

პრაქტიკამ დაადასტურა საზოგადოებრივ ტრანსპორტსა თუ სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ვიდეოთვალთვალის განხორციელების საკანონმდებლო რეგულირების აუცილებლობა. სწორედ ამ საჭიროებასა და ევროპული ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა შეიმუშავა საკანონმდებლო წინადადება ქუჩაში, საჯარო და კერძო დაწესებულებებსა და საცხოვრებელ შენობებში ვიდეოთვალთვალის რეგულირებასთან დაკავშირებით.

2014 წლის 1 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით აღმოიფხვრა საკანონმდებლო ვაკუუმი. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის რეგულირების ქვეშ მოექცა პარკში, სკვერში, სათამაშო მოედანთან, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა თუ გაჩერებასთან, ასევე, სხვა თავშეყრის ადგილას ვიდეოთვალთვალთან დაკავშირებული საკითხები და დაწესდა გამაფრთხილებელი ნიშნების თვალსაჩინო ადგილას განთავსების ვალდებულება.

პრაქტიკამ დაადასტურა საზოგადოებრივ ტრანსპორტსა თუ სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ვიდეოთვალთვალის განხორციელების საკანონმდებლო რეგულირების აუცილებლობა. 2014 წლის 1 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით აღმოიფხვრა საკანონმდებლო ვაკუუმი.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ინსპექტორის აპარატმა მოამზადა და გაავრცელა რეკომენდაციები[2] ვიდეოთვალთვალის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს კანონის არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის პრევენციას და ორგანიზაციათა ინფორმირებას ვიდეოთვალთვალის განხორციელების პრინციპების, მონაცემთა უსაფრთხოებისა და გამაფრთხილებელი ნიშნების შესახებ.

[2] *http://personaldata.ge/res/docs/recommendation/video%20surviellance-recommendation-final.pdf*

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შემოწმების შედეგები

სასჯელაღსრულების №17 დაწესებულების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში არ არსებობდა ვიდეო/აუდიოკონტროლის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები, ვიზიტორებს კი სიტყვიერად მიეწოდებოდათ ინფორმაცია ვიდეომეთვალყურეობის შესახებ.

ინსპექტორის რეკომენდაციების გათვალისწინებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა დაიწყო ძირეული რეფორმების გატარება. ინფრასტრუქტურული და პროცედურული ცვლილებების შედეგად გაუმჯობესდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ინფორმირების, ვიდეოთვალთვალის ჩანაწერების დამუშავების, აღრიცხვის და შენახვის წესი, შემცირდა მასალის შენახვის ვადა. განახლებული ინფორმაციული უსაფრთხოების შიდა პოლიტიკის ფარგლებში დარეგულირდა მასალაზე დაშვების და უსაფრთხოების საკითხი.

ვიდეო/აუდიო კონტროლის თაობაზე გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსდა თვალსაჩინო ადგილებზე. ინსპექტორის რეკომენდაციის საფუძველზე, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ელექტრონული საშუალებებით კონტროლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები პატიმრობის კოდექსში.[3]

[3] *2014 წლის 16 აპრილის კანონი №2241-IIს „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.*

მეტრო LIVE-ში

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატისთვის ცნობილი გახდა, რომ ქალაქ თბილისის მეტროსადგურების ვესტიბიულის, ბაქანის და მიმდებარე ქუჩის ვიდეოთვალთვალის ჩანაწერების ტრანსლირება რამდენიმე ვებგვერდის საშუალებით ხდებოდა და, შესაბამისად, ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მეტროსადგურებში მიმდინარე ვიდეოთვალთვალის ჩანაწერების პირდაპირ რეჟიმში გადაცემა ცალსახად სცდებოდა კანონით გათვალისწინებულ ფარგლებს. მიუხედავად იმისა, რომ ვიდეომონიტორინგს აწარმოებდა კერძო კომპანია და ინსპექტორის მანდატი იმ დროისათვის კერძო სექტორზე ჯერ კიდევ არ ვრცელდებოდა, ვიდეოთვალთვალის არეალის მასშტაბისა და ათასობით მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებით, ინსპექტორის აპარატმა მიმართა ორგანიზაციას და კანონის დაცვისაკენ მოუწოდა, რის შედეგად, მეტროსადგურებში განხორციელებული ვიდეოთვალთვალის ჩანაწერების ონლაინტრანსლირება შეწყდა.

ფოტოგადაღება და ვიდეოკონტროლი საზღვრის კვეთის დროს

2014 წელს ინსპექტორის აპარატმა საკუთარი ინიციატივით შეამოწმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საზღვრის კვეთის პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება. პროცესში აღმოჩნდა, რომ საზღვრის კვეთის დროს, ხდებოდა ყველა მგზავრისათვის ფოტოსურათის გადაღება და მათი ასახვა მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში. ფოტოსურათის გადაღება ხდებოდა საზღვრის გადაკვეთის ყველა შემთხვევაში სტანდარტულად, მაშინაც კი, როდესაც პირის მიმართ არ არსებობდა რაიმე ეჭვი ან/და მონაცემთა ბაზაში ასახული იყო პირის იდენტიფიცირებისათვის გამოსადეგი ხარისხის ფოტოსურათი. შემოწმების პროცესში სამინისტრომ დაიწყო ახალი სტანდარტის დანერგვა, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო საზღვარზე ფოტოგადაღება მოხდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ამასთან, სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე თვალსაჩინო ადგილას განთავსდა ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები და განისაზღვრა საზღვრის კვეთის პროცესში მოპოვებული მონაცემების შენახვის ვადა.

სხვა სახელმწიფოსათვის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის პერსონალურ მონაცემთა გადაცემა

თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, ხშირ შემთხვევაში, მონაცემთა გადაცემა და შენახვა არ ექვემდებარება კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრებსა და იურისდიქციას, ამის ნათელი მაგალითია ე.წ „ღრუბლოვანი“ (cloud) ტექნოლოგიების პოპულარობა. მონაცემთა უსაფრთხოებასა და კანონიერებაზე პასუხისმგებელი პირის დადგენა ზოგჯერ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

საქართველოში მოქმედი არაერთი საჯარო და კერძო დაწესებულება ახორციელებს მონაცემთა სხვა სახელმწიფოში გადაცემას. როგორც წესი, კერძო კომპანიების უცხოელი აქციონერები და პარტნიორები თანამშრომლების თუ კლიენტების შესახებ პერსონალურ მონაცემებს კონტროლისა და ანგარიშგების მიზნით ითხოვენ, ხოლო საჯარო დაწესებულებები სხვა სახელმწიფოს საჯარო დაწესებულებებს ინფორმაციას გადასცემენ ურთიერთდახმარების და თანამშრომლობის ფარგლებში, საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე.

ხშირია შემთხვევები, როდესაც საჯარო დაწესებულებები მონაცემთა გადაცემის მოთხოვნას იღებენ იმ ქვეყნებიდან, სადაც მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები უზრუნველყოფილი არ არის. ინსპექტორის აპარატმა სამართალდამცავი უწყებების თხოვნით, შეისწავლა ევროპის, აზიის და აფრიკის 17 ქვეყნის კანონმდებლობა და პრაქტიკა, დადგინდა, რომ მათგან მხოლოდ 6 ქვეყანაშია უზრუნველყოფილი მონაცემთა დაცვის საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნები.

გარდა ამისა, ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა სხვა ქვეყნებში მოქმედი პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობა, საზედამხედველო ორგანოების საქმიანობა, გაითვალისწინა ამ ქვეყნებში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის

მდგომარეობა და მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა. კვლევის საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2014 წლის 16 სექტემბრის №1 ბრძანებით დამტკიცდა იმ ქვეყნების ნუსხა, სადაც უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები, შესაბამისად, 2014 წლის 16 სექტემბრიდან საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში მოქმედ საჯარო და კერძო ორგანიზაციებს საშუალება აქვთ კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას სპეციალური ნებართვის გარეშე გადასცენ მონაცემები მსოფლიოს 47 ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს. ე.წ. „თეთრმა სიამ“ საკანონმდებლო ჩარჩოში მოაქცია პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოში გადაცემის მრავალი შემთხვევა და საქართველოში მოქმედ საჯარო და კერძო ორგანიზაციებს მნიშვნელოვნად გაუმარტივა საქმიანობის პროცესი.

!

საანგარიშო პერიოდში, ინსპექტორის აპარატისთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტები, „უცხოური ანგარიშების საგადასახადო შესაბამისობის აქტის“ (FATCA) თანახმად, გეგმავდნენ ფიზიკური პირების მონაცემების ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაცემას. საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საფინანსო ინსტიტუტებს ამგვარი მონაცემების შეგროვების კანონიერი უფლებამოსილება არ ჰქონდათ და მონაცემთა გადაცემას არც რაიმე საერთაშორისო ხელშეკრულება/-შეთანხმება ითვალისწინებდა. ინსპექტორის აპარატმა რეკომენდაციებით მიმართა როგორც საფინანსო ინსტიტუტებს, ასევე საქართველოს ეროვნულ ბანკს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (როგორც ამ საკითხზე მოლაპარაკებებში ჩართულ უწყებას). შედეგად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა კომუნიკაცია ამერიკულ მხარესთან და ფინანსური ინსტიტუტების მიერ ამგვარი მონაცემების დამუშავების ვალდებულების შესრულების ვადამ გადაიწია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერის პერიოდამდე.

საქართველოში მოქმედი არაერთი საჯარო და კერძო დაწესებულებება ახორციელებს მონაცემთა სხვა სახელმწიფოში გადაცემას.

2014 წლის განმავლობაში კანონით დადგენილი წესით ინსპექტორის აპარატმა განიხილა სავაჭრო, საბანკო და საფინანსო ორგანიზაციების 17 განცხადება მონაცემთა სხვა სახელმწიფოში გადაცემის თაობაზე ნებართვის მისაღებად, აქედან ნებართვა გაიცა 13 განაცხადზე.

არსებული პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვანია, კერძო ორგანიზაციებმა მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებებში გაითვალისწინონ მონაცემთა გადაცემასთან და უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო საჯარო დაწესებულებებმა უზრუნველყონ შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების ან/და შეთანხმების გაფორმების ინიცირება იმ ქვეყნებთან, სადაც მონაცემთა დაცვის სათანადო სტანდარტები უზრუნველყოფილი არ არის, თუმცა ქვეყნებს შორის კონკრეტულ სფეროებში (როგორიცაა, მიგრაცია, დანაშაულის გამოძიება და სხვა) თანამშრომლობა მნიშვნელოვანია და მონაცემთა გაცვლა აუცილებელია საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

პირდაპირი მარკეტინგი

2014 წელს მოქალაქეთა განცხადებების, აპარატის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და კონსულტაციების დიდი ნაწილი სწორედ პირდაპირი მარკეტინგის საკითხს უკავშირდებოდა. მოქალაქეებისთვის უცნობი იყო, საიდან მოხვდა მათი სატელეფონო ნომერი თუ ელ.ფოსტის მისამართი კერძო კომპანიების ხელთ; პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რეკლამის განმახორციელებელი ორგანიზაციის იდენტიფიცირება ვერ ხდებოდა. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა ინტერნეტსივრცეში საჯაროდ განთავსებული სატელეფონო ნომრების მარკეტინგული მიზნით გამოყენებას. არსებული საკანონმდებლო რეგულაცია ვერ უზრუნველყოფდა მოქალაქეთა უფლების დაცვას.

პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის ნებისმიერი მონაცემის დამუშავება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა მოამზადა კანონპროექტი, რომელიც, ცვლილების სახით, პარლამენტმა 2014 წლის 1 აგვისტოს მიიღო. კანონპროექტის მიხედვით პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის ნებისმიერი მონაცემის დამუშავება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე და გამოირიცხა ინფორმირებული თანხმობის გარეშე არაპროპორციულად დიდი მოცულობის მონაცემის დამუშავების კანონიერი შესაძლებლობა.

ამასთან, გამარტივდა სარეკლამო შეტყობინებებზე უარის თქმის მექანიზმი და მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს მოითხოვონ მათი მონაცემების გამოყენების შეწყვეტა, ხოლო პირდაპირი მარკეტინგის განმახორციელებელი ორგანიზაციები ვალდებულნი გახდნენ, შექმნან უარის თქმის მექანიზმი იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი ან/და შეიმუშაონ სხვა ხელმისაწვდომი და ადეკვატური საშუალება.

ინსპექტორის აპარატმა კერძო სექტორის მიმართ კანონის სრულად გავრცელების დღესვე[4] მიიღო მოქალაქეთა განცხადებები და დაიწყო კომპანიების მხრიდან კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების (მაგალითად, „sms off“ ფუნქცია, USSD კოდი) შემოწმება.

2014 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა 6 კომპანიის ინსპექტირება, შემოწმდა მონაცემთა მოპოვების წყარო, დამუშავების პროპორციულობა და უარის თქმის მექანიზმის ეფექტურად ფუნქციონირება. გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია როგორც მარკეტინგის განმახორციელებელი კომპანიებისაგან, ისე - მათი უფლებამოსილი პირებისაგან, რომლებიც უშუალოდ აგზავნიან შეტყობინებებს.

მოქალაქეთა განცხადების წარმოებაში მიღებისთანავე ინსპექტორმა 6-ვე შემთხვევაში გამოიყენა მონაცემთა დაბლოკვის მექანიზმი, ხოლო, საბოლოო გადაწყვეტილებით, აღნიშნულ ორგანიზაციებს დაავალა განმაცხადებლების მონაცემების გამოყენების შეწყვეტა, მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება და მოქალაქეთა მხრიდან შეტყობინებებზე უარის თქმის ეფექტური მექანიზმის დანერგვის უზრუნველყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ უარის თქმის მექანიზმი კანონით მხოლოდ რამდენიმე თვეა არსებობს, სარეკლამო საქმიანობის განმახორციელებელი ერთ-ერთი კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გაუქმების საშუალება (USSD კოდი) გამოიყენა 113 000 აბონენტმა, მათ შორის, ნაწილმა მოითხოვა ყველა სახის სარეკლამო შეტყობინების სრულად გაუქმება, ნაწილმა კი აირჩია პროდუქციის/მომსახურების სეგმენტაციის პრინციპი და შეტყობინებას მხოლოდ მისთვის სასურველ საკითხზე იღებს.

პირდაპირი მარკეტინგის განმახორციელებელი კომპანიების სიმრავლისა და მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, ინსპექტორის აპარატის მიერ მომზადდა სპეციალური რეკომენდაციები ორგანიზაციებისთვის და საინფორმაციო ფურცელი მოქალაქეთათვის.

---

[4] *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი კერძო სექტორის მიმართ სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 ნოემბრიდან.*

მოქალაქეთა და მონაცემთა დამმუშავებლების ინფორმირებულობა

ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია მონაცემთა დამმუშავებლებისა და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება, განსაკუთრებით, მონაცემთა დამუშავების მასშტაბური და მოცულობითი ხასიათისა და მონაცემთა არაკანონიერი, მათ შორის, დანაშაულებრივი გზით გამოყენების საფრთხის გათვალისწინებით.

2014 წელს საგრძნობლად გაიზარდა მონაცემების დაცვის თემისადმი მოქალაქეთა ინტერესი.

გარდა კონსულტაციებისა, 2014 წლის განმავლობაში ინსპექტორის აპარატი რეგულარულად მართავდა საინფორმაციო შეხვედრებს სხვადასხვა მონაცემთა დამმუშავებლებთან, რომელთა ყოველდღიური საქმიანობა პერსონალური მონაცემების დამუშავებას უკავშირდება.

შეხვედრები გაიმართა მობილურ ოპერატორებთან, ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებთან, საბანკო და საფინანსო ინსტიტუტებთან, საჯარო უწყებებთან. ინსპექტორის აპარატი მონაწილეობდა სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში.

საქმიანობის ფარგლებში 2014 წელს ინსპექტორის აპარატმა 1300-მდე საჯარო მოხელესა და 100-ზე მეტ კერძო ორგანიზაციის წარმომადგენელს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ჩაუტარა ტრენინგები. ინსპექტორის აპარატი თანამშრომლობდა იუსტიციის სასწავლო ცენტრთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს ტრენინგცენტრთან, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან, HR გილდიასთან და სხვა ორგანიზაციებთან.

2014 წლის ოქტომბრიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა 4 თვის განმავლობაში ჩაატარა ტრენინგების კურსი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 700 თანამშრომლისთვის როგორც თბილისში, ასევე, ქუთაისში, ბათუმში, გორში, თელავსა და სხვა ქალაქებში.

სააგენტოს თანამშრომლებისათვის მომზადდა მათ საქმიანობაზე მორგებული ორი სახის სასწავლო მოდული: 7 საათიანი მოდული მათთვის, ვინც უშუალოდ არის ჩართული მონაცემთა ბაზების ფორმირებასა და მოქალაქეთათვის მომსახურების გაწევის პროცესში და 3 საათიანი საბაზისო მოდული სააგენტოს ადმინისტრაციისთვის.

2014 წელს საგრძნობლად გაიზარდა მონაცემების დაცვის თემისადმი მოქალაქეთა ინტერესიც, სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება თავისი პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებით. ინსპექტორის აპარატის მიერ მომზადდა რამდენიმე, მათ შორის, ორენოვანი საინფორმაციო ფურცელი საზღვრის კვეთის დროს პერსონალური მონაცემების დაცვის და მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ, შემუშავდა გზამკვლევი მოქალაქეებისათვის პირდაპირი მარკეტინგისა და მობილური აპლიკაციის უსაფრთხოდ გამოყენების თემაზე. მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები რეგიონებში და საჯარო ლექციები სტუდენტებისთვის. ინსპექტორის აპარატის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ინსპექტორი და მისი აპარატის თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სახის ტელე-რადიო გადაცემებში.

2014 წლის 28 იანვრიდან ფუნქციონირებს ინსპექტორის აპარატის ვებგვერდი - www.personaldata.ge, სადაც თავმოყრილია ინფორმაცია აპარატის მიმდინარე საქმიანობის, სიახლეების, კანონმდებლობის, საუკეთესო პრაქტიკისა და სხვა საინტერესო თემების შესახებ. 2014 წლის განმავლობაში ვებგვერდს 11 000-ზე მეტი უნიკალური სტუმარი ჰყავდა. სტუმართა რიცხვი მზარდია და ყოველდღიურად საშუალოდ 150-ს შეადგენს. ინსპექტორის აპარატი აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს ინფორმაციის გავრცელებისა და მოქალაქეთათვის კონსულტაციის გაწევის მიზნით.

2014 წელი
ციფრებში

2014 წელს გაწეულია 924 კონსულტაცია, მათ შორის



- მოქალაქე
- კერძო ორგანიზაცია
- საჯარო უწყება

კონსულტაციის თემები



კონსულტაციები სექტორების მიხედვით



ჩატარდა 13 ინსპექტირება



ფაილურ სისტემათა კატალოგების რაოდენობა

ფაილური სისტემის კატალოგი წარმოადგინა 1936 ორგანიზაციამ.



ტრენინგები

60 ორგანიზაციის 1400-მა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ

პერსონალურ მონაცემთა დაცვის
ინსპექტორის აპარატი

(+995 32) 242 1000
office@pdp.ge
www.personaldata.ge
FB/DPAGeorgiaOfficial